

საქართველოს ეროვნული ბანკი

# საგადასდელი სისპეგეგის ქირითაღი პრინსციპი



ცნობარი N3 საქართველოს ეროვნული ბანკის  
ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ

## **ცნობარი N3**

საქართველოს ეროვნული ბანკის  
ფუნქციებისა და საქმიანობის შესახებ

# **საბაღამოსდლო სისტემების ქირითალი პრინციპები**

საქართველოს ეროვნული ბანკი  
თბილისი • 2007

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინამდებარე ცნობარის გამოცემის მიზანია საქართველოს საგადამხდელო სისტემის იმ ძირითადი საკითხების წარმოდგენა და განხილვა, რომელთაც საქართველოს ეროვნული ბანკისა და მისი საქმიანობით დაინტერესებული პირებისათვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

მასში ასახულია მონაცემები საგადამხდელო სისტემების ზოგადსამართლებრივი ასპექტების, განვითარების ძირითადი პრინციპების, შემადგენელი ნაწილების, საგადამხდელო ინსტრუმენტების, გადახდის განხორციელების მეთოდების, საგადამხდელო სისტემების როლისა და ადგილის შესახებ საბაზრო ეკონომიკაში და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ საგადამხდელო სისტემების მსგავსი განხილვები მოითხოვს მკაცრად განსაზღვრული საკითხების ლოგიკურ და ფართო ანალიტიკურ მიდგომებს, ვეცადეთ, ცნობარი არ დაგვეგვირთა ზედმეტი თეორიული მასალით, კვლევებით და სტატისტიკური ანალიზებით.

შევეცადეთ, წარმოდგენილი ინფორმაცია ყოფილიყო ამომწურავი. ცნობარში მისაღები ფორმით არის განხილული საგადამხდელო სისტემების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების ძირითადი კონცეპტუალური მიდგომები და მათი გამოყენების შესაძლებლობები. მასალის ადვილად აღქმის მიზნით, რიგ თეორიულ ნაწილს ახლავს პრაქტიკული მაგალითები.

ვიმელოვნებთ, ცნობარი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ საბანკო სფეროს ნებისმიერ სპეციალისტს.

# შ ი ნ ა ა რ ს ი

მოკლე მიმოხილვა .....	5
<b>1. საგადამხდლო სისტემების მნიშვნელობა</b>	
<b>საფინანსო სექტორში .....</b>	<b>7</b>
1.1. საგადამხდლო სისტემები და ფინანსური სტაბილურობა .....	7
1.2. საგადამხდლო სისტემები და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალიზება .....	9
<b>2. ცენტრალური ბანკის როლი საგადამხდლო სისტემებში .....</b>	<b>11</b>
<b>3. საქართველოს ეროვნული ბანკის როლი ქვეყანაში     მოქმედ საგადამხდლო სისტემებში .....</b>	<b>14</b>
<b>4. საგადამხდლო ინსტრუმენტები.....</b>	<b>15</b>
4.1. საგადამხდლო ინსტრუმენტების შერჩევა.....	15
4.2. საგადამხდლო ინსტრუმენტების ძირითადი მახასიათებლები.....	16
4.3. საკრედიტო ინსტრუმენტები.....	17
4.4. სალბეგო ინსტრუმენტები .....	18
4.5. პლასტიკური ბარათები .....	20
4.6. ჩეკი .....	23
4.7. ინკასო .....	23
4.8. დოკუმენტური ოპერაციები.....	24
4.9. ელექტრონული ფული.....	28

<b>5. საგადაზღველო სისტემები.....</b>	<b>30</b>
5.1. საგადაზღველო სისტემების ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგია.....	30
5.2. რეალური დროის რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS) .....	31
5.3. „ნეტ“-ანგარიშსწორების სისტემა (კლირინგი).....	32
5.4. „კლიენტი-ბანკის“ სისტემა .....	35
5.5. SWIFT-ის სისტემა .....	35
<b>6. რისკები საგადაზღველო სისტემებში .....</b>	<b>36</b>
6.1. რისკების კლასიფიკაცია .....	36
<b>7. ლიკვიდურობის მოთხოვნები „გროს“ და „ნეტ“     საფუძვლებზე ანგარიშსწორების განსახორციელებლად .....</b>	<b>41</b>
<b>8. საგადაზღველო სისტემების საკანონმდებლო ბაზა .....</b>	<b>43</b>

## მოკლე მიმოხილვა

საგადამხდლო სისტემა წარმოადგენს საგადამხდლო ურთიერთობების სუბიექტებს შორის ფულადი სახსრების მიმოქცევის ორგანიზაციული ფორმების, ინსტრუმენტებისა და პროცედურების ერთობლიობას.

მიუხედავად იმისა, რომ საგადამხდლო სისტემები ფუნქციონირებენ სხვადასხვა ფორმით, ყველა მათგანს გააჩნია ერთადერთი ღანიშნულება – გადამხდელის ანგარიშიდან მიმღების ანგარიშზე სახსრების უსაფრთხო, საიმედო და ღრთული გადატანა.

ყველა სახის საგადამხდლო სისტემა მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს. ესენია:

- აუგენტიფიკაციისა და გადახდების დაწყების პროცესი – პროცესი, რომლის ღრთსაც ხდება სისტემის მონაწილის ამოცნობა, რის შემდეგაც გადამხდელს ეძლევა მისი მომსახურე ბანკისადმი სახსრების გაღარიცხვის ღვალების მიცემის საშუალება;
- მონაწილე ბანკებს შორის საგადახლო საბუთების გადაცემისა და გაცვლის პროცესი – პროცესი, რომლის ღრთსაც ხდება საგადამხდლო სისტემის ორგანიზატორის მიერ ღაღენილი ფორმატებით ინფორმაციის გაცვლა;
- ანგარიშსწორების პროცესი – პროცესი, რომლის ღრთსაც გადამხდელი ბანკი, საკორესპონდენტო ურთიერთობების საფუძველზე ან მესამე მხარის ღახმარებით, ახდენს კლიენტის ღვალების რეალურ შესრულებას. მესამე მხარეს წარმოადგენს ანგარიშსწორების აგენტი (ამ როლს ასრულებენ ცენტრალური ბანკები, საანგარიშსწორებო-საკლირინგო-საპროცესინგო ცენტრები, პალაგები და სხვ.).

მოცემული პროცესები უფრო ღეგალურად განხილული იქნება ქვემოთ.

განსაკუთრებული აღგილი ღაეთობა ღიკვიღრობის და რისკების მართვის პოლიტიკის თემებს, ვინაიღან პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ რისკების გიპურობის მიუხედავად, ღღეისათვის არ არსებობს მათი მართვის ერთადერთი და იღეალური მოღელი

და, ამდენად, ერთ ქვეყანაში მიღებული მექანიზმები ყოველთვის მისაღები არ შეიძლება იყოს მეორე ქვეყნისათვის.

საგადამხდელო სისტემების სტრატეგიული პოლიტიკის განხორციელებისას (ახალი საგადამხდელო სისტემის შემუშავება, ძველი სისტემის გაუმჯობესება და სხვ.) გათვალისწინებული უნდა იქნეს ისეთი ფაქტორები, რომლებიც გამორიცხავს ინფორმაციული უზრუნველყოფის არასრულფასოვნებას, არადროულობასა და შეცდომებს მის დამუშავებაში, რამაც შესაძლოა მიგვიყვანოს ფინანსურ დანაკარგებსა და ბოლოს, ნდობის დაკარგვასთან. სხვა საკითხებთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანია ძირითადი აქცენტი კეთდებოდეს ცენტრალურ ბანკსა და კომერციულ ბანკებს შორის, ასევე პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების და საკომუნიკაციო სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციათა შეთანხმებულ თანამშრომლობაზე (მათ შორის, სისტემის ოპერატორებსა და კლიენტებს შორის).

## 1. საგადასვლელი სისტემების მნიშვნელობა საფინანსო სექტორში

### 1.1. საგადასვლელი სისტემები და ფინანსური სტაბილურობა

საფინანსო სექტორისათვის საგადასვლელი სისტემის როლი იმაში მდგომარეობს, რომ დროულად და ეფექტურად იქნეს უზრუნველყოფილი ფულადი საშუალებების გადატანა მომხმარებელსა და საქონლის მიმწოდებელს შორის, რათა პირნათლად იქნეს შესრულებული მათ მიერ აღებული ვალდებულებები.

საგადასვლელი სისტემების, როგორც ფულადი სახსრებისა და სხვა სახის ლიკვიდური აქტივების (მაგალითად, ფასიანი ქაღალდებისა და უცხოური ვალუტის) გადარიცხვის ძირითადი საშუალებების გაუმართავმა მუშაობამ შეიძლება უდიდესი უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს იმ საფინანსო ბაზრების ფუნქციონირებაზე, რომელთაც ეს სისტემები ემსახურება და შეარყიოს არა მარტო ამ ბაზრებზე მოქმედი ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების პოზიციები, არამედ საფრთხის ქვეშ დააყენოს ფართო სამოგალოების ნლობა საგადასვლელი და საერთოდ, საფინანსო სისტემის მიმართ.

საგადასვლელი სისტემები დიდ როლს ასრულებს ცენტრალური ბანკის საკვანძო ფუნქციის – ფინანსური სტაბილურობის მიღწევისა და შენარჩუნების წარმატებით განხორციელებაში. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, რომ ბანკთაშორისი ფულადი ბაზრები იყოს ლიკვიდური და წარმოადგენდეს ფულად-საკრედიტო სფეროში მიმდინარე მდგომარეობის საიმედო ინდიკატორს. ეს ცენტრალურ ბანკს საშუალებას მისცემს, საკმაოდ დიდი ალბათობით იფარაულოს ცალკეული ფაქტორების (მაგ., ფულადი სახსრების მიმოქცევა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის) ზემოქმედება სისტემის ლიკვიდურობაზე. საგადასვლელი სისტემების არაეფექტურობამ და არასაიმედოდ ფუნქციონირებამ შესაძლოა გამოიწვიოს საგადასვლო საბუთების დამუშავების დროის გაზრდა და მიმღების ანგარიშზე თანხების დაგვიანებით ჩარიცხვა. საგადასვლელი სისტემების მომხმარებელთათვის ამ და მსგავსმა ნაკლოვანებებმა, მოუხერხებლობასთან ერთად, შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ეკონომიკაზეც, ვინაიდან, თუ ფულადი სახსრები დაყოვნებულია საგადასვლელი სისტემაში, შეუძლებელი ხდება მათი



გამოყენება სხვა მიზნებისათვის. მეორე მხრივ, თუ ეკონომიკურ სუბიექტებს არ აქვთ მათთვის გადასახდელი თანხების ჩარიცხვის დროის მუსკად განსაზღვრის საშუალება, გართულებულია საოპერაციო და სხვა სახის ხარჯების ეფექტიანი და ოპტიმალური დაგეგმვა.

ამგვარად, აუცილებელია ისეთი საგადასახდელი სისტემების (მაგ., მსხვილი გადახდების სისტემები) არსებობა, რომლებიც უზრუნველყოფენ საგადასახდლო საბუთების მიხედვით, იმავე სამუშაო დღის განმავლობაში, უსაფრთხო და საიმედო ანგარიშსწორებას.

საგადასახდელი სისტემების სფეროში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებების მიუხედავად, რომლის შედეგად შესაძლებელი გახდა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგადასახდელი სისტემებისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებათა ძირითადი ნაწილის აღმოფხვრა, საქართველოს საგადასახდელი სისტემა საჭიროებს შემდგომ განვითარებას და მოდერნიზებას. საქართველოს საგადასახდელი სისტემების განვითარების კომიტეტის აზრით, საგადასახდელი სისტემების, როგორც ქვეყნის ეკონომიკისა და საფინანსო სისტემის სტაბილურობისა და შემდგომი მრდის საფუძვლის ჩამოყალიბება შესაძლებელია დაინტეგრირებულ მხარეთა თანამშრომლობის შედეგად შემუშავებული განვითარების სტრატეგიის განხორციელებით.

ბემთათ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საფინანსო ბაზრებსა და საგადასახდელი სისტემების სტაბილურობას შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, რის გამოც, ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების მსგავსად, საქართველოს საგადასახდელი სისტემების განვითარების ძირითად პრინციპებს წარმოადგენს:

- საქართველოს ეროვნული ბანკის მუდმივად მზარდი როლი ამ სისტემებში;
- მყარი საკანონმდებლო ბაზის არსებობა;
- საგადასახდელი სისტემის ბირთვი უნდა იყოს რეალური დროის რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS);
- „მსხვილი“ და „სწრაფი“ გადარიცხვების დამუშავება უნდა ხდებოდეს RTGS-ის სისტემაში, დანარჩენი გადარიცხვები – საკლირინგო სისტემაში;
- ანგარიშსწორება უნდა ხდებოდეს თანამედროვე ტექნოლოგიებით.

მრავალი წლის მანძილზე საგაღამხლელო სისტემების ფუნქციონირება, როგორც წესი, არ განეკუთვნებოდა ცენტრალური ბანკების ინტერესებისა და ზრუნვის საგანს. მას განიხილავდნენ, როგორც მექანიკურ, „თვალისაგან მოშორებულ“ საქმიანობას, სფეროდ, რომელიც არ საჭიროებდა საბანკო პოლიტიკის განსაკუთრებულ ყურადღებას.

დღეისათვის მიდგომა შეიცვალა – ბოლო ათწლეულების განმავლობაში განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, მსოფლიოს საფინანსო ბაზრების აქტივობის ზრდასთან ერთად, საგრძნობლად გაიზარდა საბუთბრუნვა როგორც რაოდენობრივი, ისე თანხობრივი თვალსაზრისით, რამაც, თავის მხრივ, წარმოშვა მოთხოვნა თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებზე დაფუძნებულ საგაღამხლელო სისტემებზე. აღნიშნულმა შესაძლებელი გახადა სახსრების საგრძნობლად სწრაფი და უსაფრთხო გადაადგილება.

## 1.2. საგაღამხლელო სისტემები და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეალიზება

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მომსახურე და მსხვილი გადახდების განმახორციელებელი საგაღამხლელო სისტემები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი ცენტრალური ბანკის ძირითადი ფუნქციის – ფულად-საკრედიტო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფაში.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი, ანუ საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც კომერციული ბანკი სესხულობს და გასცემს სესხს ბანკთაშორის ფულად ბაზარზე. ცენტრალური ბანკი, აკონტროლებს რა საპროცენტო განაკვეთს, არეგულირებს საბანკო სისტემის ლიკვიდურობას და იყენებს უფლებამოსილებას, დააბალანსოს ფონდების მოთხოვნა-მიწოდება. ამ თვალსაზრისით, ზოგიერთი ქვეყნის ცენტრალური ბანკი იყენებს სავალდებულო რეზერვებს, რომელთაც კომერციული ბანკები ინახავენ ცენტრალურ ბანკში. ამ გზით მიღწევა მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთის მოთხოვნილ ღონემდე დაყვანა, რომელიც ასევე აისახება ეკონომიკის ყველა სფეროზე. რიგ ქვეყნებში (მაგ., გაერთიანებულ სამეფოში) ცენტრალური ბანკის ოპერაციები ღია

ბაზარზე მიზნობრივად არის მიმართული იქითკენ, რომ ფულადი ბაზარი ყოველდღიურად განიცდიდეს ფულის პოტენციურ უკმარისობას, რასაც ცენტრალური ბანკი დაფარავს იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც მას სურს დაადგინოს ან შეინარჩუნოს ბაზარზე.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების მიზნით, ორივე მეთოდი განიხილება, როგორც საბაზრო მიდგომა და, აქედან გამომდინარე, მიჩნეულია, რომ:

ა) ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი აქტიურად გამოიყენება კრედიტორებისა და მსესხებლების მიერ (ე. ი. ლიკვიდურები არიან) და ამიტომ ისინი ეკონომიკაში წარმოადგენენ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელი პირობების საიმედო ინდიკატორს;

ბ) ცენტრალურ ბანკს, ყოველდღიური ანალიზის საფუძველზე, შეუძლია ფულად ბაზარზე ლიკვიდურობის პროგნოზირება, განსაკუთრებით სახელმწიფო და კერძო სექტორს შორის ძირითადი ფულადი სახსრების ნაკადის მიხედვით (მაგ., ერთი მხრივ, საშემოსავლო გადასახადების შემოღინება და, მეორე მხრივ, სახელმწიფო ხარჯები).

მოცემული პირობების შესასრულებლად აუცილებელია ისეთი საიმედო საგადაზღველო სისტემის არსებობა, რომელიც მსხვილი გადახდების ოპერაციებზე ანგარიშსწორებას განხორციელებს ერთი დღის განმავლობაში.

## 2. ცენტრალური ბანკის როლი საგადასმელო სისტემებში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საგადასმელო სისტემების მუშაობა მჭიდროდ უკავშირდება ცენტრალური ბანკის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს – ფინანსური და ფულად-საკრედიტო სტაბილურობის უზრუნველყოფას და უფრო დიდი მიზნის – ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევაში გარკვეული წვლილის შეტანას.

ამ ამოცანების განხორციელება დამოკიდებულია საგადასმელო სისტემების მუშაობაში ცენტრალური ბანკების მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროზე, რაც გამოიხატება შემდეგი ძირითადი ფუნქციებით:

ცენტრალური ბანკი, როგორც:

**I. საგადასმელო სისტემების მომხმარებელი.** ცენტრალურმა ბანკმა უნდა განახორციელოს სახსრების გადარიცხვის საკუთარი ოპერაციები. ამ ფუნქციის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების მიზნით, ოფიციალურ ღია ბაზარზე წარმოებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ანგარიშსწორების განხორციელება საგადასმელო სისტემების საშუალებით (ანგარიშსწორება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით, უცხოური ვალუტით და სხვა ოპერაციები).

გარდა ამისა, სხვა იურიდიული პირების მსგავსად, ცენტრალური ბანკი ვალდებულია აწარმოოს სხვა მიმდინარე ოპერაციები – განახორციელოს შიდა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საანგარიშსწორებო საქმიანობა, გასცეს ხელფასები, პენსიები და სხვა, რისთვისაც ასევე აუცილებელია საგადასმელო სისტემების გამოყენება.

**II. საგადასმელო სისტემების მონაწილე.** ცენტრალურ ბანკს, საგადასმელო სისტემების სხვა მონაწილეების მსგავსად, შეუძლია შეასრულოს საანგარიშსწორებო ოპერაციები მისი კლიენტების (სამინისტროების, უწყებების, ბანკებისა და სხვა ორგანიზაციების) სახელით, ანუ, როდესაც ეროვნული ბანკი თავისი კლიენტების სახელით ახორციელებს ანგარიშსწორების სისტემის მონაწილის ოპერაციებს.

**III. საგადასმელო სისტემის მომსახურების მიმწოდებელი.** ცენტრალური ბანკების ეს ფუნქცია ითვალისწინებს მისი, როგორც საგა-

დამხდელი სისტემის მიმწოდებლის (სისტემის ოპერატორის) მიერ შესაბამისი სერვისის მიწოდებას მონაწილეებისათვის, რაც გულისხმობს: საკანონმდებლო ნორმატიული დოკუმენტაციის, პროგრამულ-ტექნიკური, საკომუნიკაციო და სხვა საშუალებების მიწოდებას.

ჩვეულებრივ, ცენტრალური ბანკის მფლობელობაში არის სისტემურად მნიშვნელოვანი ერთი საგადამხდელი სისტემა მაინც, რომლის მომსახურებით სარგებლობენ კომერციული ბანკები და ანგარიშსწორების სხვა მონაწილენი. საქართველოს ეროვნული ბანკის შემთხვევაში ასეთ სისტემას წარმოადგენს რეალურ დროში ბანკთაშორისი ანგარიშსწორების სისტემა.

**IV. სახელმწიფო ინტერესების დამცველი.** მოცემული ფუნქცია მნიშვნელოვნად ფართო ხასიათის მაგარებელია და შეიძლება მოიცავდეს შემდეგ ასპექტებს: ასრულებდეს საგადამხდელი სისტემის „მარეგულირებლის“ ფუნქციას; ახორციელებდეს სისტემის მონაწილეთა ზედამხედველობას (მეთვალყურეობას); უზრუნველყოფდეს საგადამხდელი სისტემების დაგეგმარებასა და მართვას; პრეტენზიების შემთხვევაში ასრულებდეს არბიტრის ფუნქციას.

ცენტრალურ ბანკს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს უფრო ფართო მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაშიც, მაგალითად, როგორც არის კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა ან ტექნიკური სტანდარტების შემუშავება და განხორციელება.

**V. ყოველდღიური ანგარიშსწორების გარანტი.** ცენტრალური ბანკის ეს ფუნქცია, კომერციული ბანკების საქმიანობასთან დაკავშირებული ვალდებულებების დაბრუნების მიზნით, საგადამხდელი სისტემების სფეროში სახელმწიფო სახსრების ეფექტიანად გამოყენების პრაქტიკას წარმოადგენს.

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის მიმოხილვა ადასტურებს ცენტრალური ბანკების მრავალმხრივ მონაწილეობას საგადამხდელი სისტემებში, რაც მნიშვნელოვანწილად ასახავს სხვადასხვა ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ ასპექტებს. მაგალითად, ზოგიერთი ქვეყნის ცენტრალური ბანკი აქტიურად არის ჩართული საგადამხდელი სისტემების ჩამოყალიბებისა და ექსპლოატაციის საკითხებში (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ესპანეთი); ზოგს გააჩნია ფართო უფლებამოსილებანი, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული

იყოს კანონით დადგენილ სპეციფიკურ მოვალეობებთან (გერმანია, იტალია, შვედეთი); ზოგიერთ მათგანს შეუძლია გადახდების განხორციელებაში აქტიურად მიიღოს მონაწილეობა მისი კლიენტების სახელით. გაერთიანებული სამეფოს ცენტრალურ ბანკს ყურადღება გადატანილი აქვს კომერციულ საგადამხდელო მომსახურებაზე. ამასთან, სამართლებრივი საფუძვლები მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმეკრულებო სამართლებრივ ნორმებთან, მაშინ, როდესაც ინგლისის ბანკი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა საგადამხდელო სისტემის უსაფრთხოებას და საიმედოობას.

მიუხედავად იმისა, რომ საგადამხდელო სისტემებში ცენტრალური ბანკების მონაწილეობის ხარისხთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობს, საბოლოო მიზანი მაინც იდენტურია – სისტემებისადმი წვდომის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში აკმაყოფილებს მომხმარებლის ყველა მოთხოვნას, მუშაობს მინიმალური რისკით და ყველა მონაწილე მხარისათვის მისაღებ დანახარჯებს მოითხოვს.

### 3. საქართველოს ეროვნული ბანკის როლი ქვეყანაში მოქმედ საგადასხდელო სისტემებში

საქართველოს ეროვნული ბანკის როლი საგადასხდელო სისტემის რეგულირებაში განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ საქართველოს ორგანული კანონით.

მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, საქართველოს ეროვნულ ბანკს საქართველოს საგადასხდელო სისტემებში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი ზრუნვის მუღმივე საგანს წარმოადგენს საფინანსო და საბანკო სექტორის ეკონომიკური პროცესების მონაწილე პირთა შორის საიმედოდ და ეფექტურად ფუნქციონირებადი საგადასხდელო სისტემების დამკვიდრება და მისი მუღმიველ სრულყოფა.

საქართველოს ეროვნული ბანკი გვევლინება საგადასხდელო სისტემების კოორდინატორად, რომელიც არეგულირებს საანგარიშსწორებო, საკლირინგო და სხვა სისტემებს, ადგენს როგორც ნაღდი, ასევე უნაღლო ანგარიშსწორების წესებს, ნორმატიულ-სამართლებრივ აქტებს, ფორმებს, სტანდარტებს და ვადებს. ამასთან, იგი არის ამავვე სისტემების მონაწილე.

აქედან გამომდინარე, ამ სფეროში საქართველოს ეროვნული ბანკის სტრატეგია აგებულია სამართლებრივი, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციულ-ტექნიკური მიმართულებების გათვალისწინებით, რის გამოც მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას განეკუთვნება კომერციულ ბანკებში მოქმედი საგადასხდელო სისტემების რეგულარული მეთვალყურეობა. ამ პროცესით საქართველოს ეროვნული ბანკი უნდა ამოწმებდეს, თუ რამდენად საიმედო და მღგრაღია ბანკის მიერ ამ კუთხით გაწეული მუშაობა.

კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან, გამოავლინონ და აკონტროლონ რისკები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვეს მათი საგადასხდელო სისტემების ფუნქციონირებისას. უფრო მეტიც, საქართველოს ეროვნული ბანკი ვალდებულია შექმნას ისეთი ბერკეტი, რომელიც აიძულებს ბანკებს წარმოშობილი რისკების მართვის მექანიზმების სათანადოდ რეგულირებას.

## 4. საგადამხდელო ინსტრუმენტები

### 4.1. საგადამხდელო ინსტრუმენტების შერჩევა

საგადამხდელო სისტემების მონაწილენი უნაღლო გადახდების განსახორციელებლად სარგებლობენ იმ საგადამხდელო ინსტრუმენტებით, რომელთა მეშვეობითაც ხდება გადახდების ინიციირება და თანხების გადაგზავნა.

საგადამხდელო ინსტრუმენტები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად. ესენია:

- საკრედიტო ინსტრუმენტები;
- საღებუტო ინსტრუმენტები.

კონკრეტული ოპერაციების შესასრულებლად აუცილებელი საგადამხდელო ინსტრუმენტის შერჩევა ღამოკიდებულია შემდეგ საკითხებზე:

- რა დაუხდება კლიენტს კონკრეტული ინსტრუმენტის გამოყენება?
- ოპერაცია წარმოებს „პირისპირ“ თუ დისტანციურად?
- ოპერაცია რეგულარულია თუ ერთჯერადი?
- რამდენად სასწრაფოა ოპერაცია?
- რა მოცულობისაა გადასარიცხი თანხა?
- გადახდა ადგილობრივი ხასიათისაა თუ ხორციელდება შორ მანძილზე?
- გადახდა ქვეყნის შიგნით ხორციელდება თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ?

ამასთან, კონკრეტულ ქვეყანაში გამოყენებული საგადამხდელო ინსტრუმენტების დიაპაზონი აუცილებლად ასახავს მის ისტორიულ და სოციალურ მემკვიდრეობას. საგადამხდელო ინსტრუმენტების შერჩევისას ასევე მნიშვნელოვანია მოცემულ ქვეყანაში უნაღლო გადახდებისადმი მოთხოვნილების დონე.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია საგადამხდელო ინსტრუმენტებით შესრულებულ ოპერაციათა მაჩვენებლები ევროკავშირის წევრ ბოგიერთ ქვეყანაში:



**საგადამხდელ ინსტრუმენტებით შესრულებულ ოპერაციათა თანხობრივი მაჩვენებლები 2004 წლისათვის**  
(ოპერაციათა საერთო თანხა, %)

ქვეყნის დასახელება	საკრედიტო გადარიცხვები	პირდაპირი ღებეტი	ჩექები	ელ-ფული	საგადამხდელ ბარათები
ბელგია	98.66	0.32	0.54	0.00	0.25
საფრანგეთი	96.76	0.70	1.88	0.00	0.20
გერმანია	87.56	10.29	1.70	0.00	0.45
იტალია	70.53	3.64	15.75	0.01	1.33
ნიდერლანდები	93.91	4.74	-	0.01	1.34
შვედეთი	90.70	3.97	0.00	0.00	5.33
გაერთიანებული სამეფო	96.47	0.95	2.24	-	0.34

შენიშვნა: მონაცემები აღებულია ევროპის ცენტრალური ბანკის გამოცემიდან „Blue Book Addendum“ – მარტი, 2006 წ.

უკანასკნელი პერიოდის (სექტემბერ-ოქტომბერი, 2006 წ.) მონაცემებით, საქართველოში საგადამხდელ ინსტრუმენტებით განხორციელებულ ოპერაციებში საკრედიტო გადარიცხვების თანხობრივი წილი 84.9 პროცენტს შეადგენს, პირდაპირი ღებეტის წილი 9.0 პროცენტი, საბანკო პლასტიკური ბარათებისა – 6.1 პროცენტი, ხოლო ჩექების – 0.0 პროცენტი.

#### 4.2. საგადამხდელ ინსტრუმენტების ძირითადი მახასიათებლები

საგადამხდელ ინსტრუმენტებს გააჩნიათ შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

**ა) საგადამხდელ ინსტრუმენტების ფიზიკური ფორმა.** ფიზიკური ფორმა საგადამხდელ ინსტრუმენტების კატეგორიებად დაყოფის ყველაზე თვალსაჩინო საშუალებაა.

გრადიციულად, საგადამხდელო საბუთები მზადდებოდა ქალაქებში (მაგ., ჩეკები, საგადახლო დავალებები და სხვ.). საქართველოში დღეისათვის ქალაქის საბუთი მნიშვნელოვანწილად ჩაანაცვლა ელექტრონულმა საგადახლო საბუთმა და საბანკო პლასტიკურმა ბარათმა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდა საგადამხდელის მიერ მომსახურე ბანკისადმი დავალების მიცემა სხვადასხვა საშუალებებით (ინტერნეტ-ტექნოლოგიებით, ტელესაკომუნიკაციო საშუალებებით, ტელეფონით და სხვ.).

**ბ) დამცავი მახასიათებლები.** საგადახლო საბუთების ფიზიკურ ფორმასთან მჭიდრო კავშირშია მისი დამცავი მახასიათებლები, ანუ მექანიზმები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია დოკუმენტის ნამდვილობის დადგენა.


ქალაქის საგადახლო საბუთებით საქმის წარმოებისას დოკუმენტის ნამდვილობის დადასტურება, გრადიციულად, ფიზიკური პირის პირადი ხელმოწერით ხდებოდა.

ქვეყანაში უკანასკნელ წლებში გატარებული ღონისძიებების შედეგად, ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერების, პაროლების, დამცავი გასაღებების, პირადი საიდენტიფიკაციო ნომრებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფი სხვა საშუალებების გამოყენებით შესაძლებელი გახდა საგადახლო საბუთების ნამდვილობის დადგენა თანამედროვე მეთოდებით.

### 4.3. საკრედიტო ინსტრუმენტები

საკრედიტო ინსტრუმენტს წარმოადგენს საგადახლო დავალება. საკრედიტო გზავნილის განსახორციელებლად, ფულის გამგზავნი მის მომსახურე ბანკს აძლევს დავალებას მიმღების სასარგებლოდ მისი ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერის შესახებ. ამავე დროს, საგადახლო დოკუმენტები და ფულადი სახსრები მოძრაობს ერთი მიმართულებით.

საკრედიტო გზავნილის განხორციელების სქემა მოცემულია N1 დიაგრამაზე.



თანხების საკრედიტო გადარიცხვები არა ერთი ევროპული ქვეყნისათვის (ბელგია, გერმანია, ნიდერლანდები, შვედეთი, შვეიცარია), მათ შორის საქართველოსთვისაც, უნაღლო გადახდების გრადიციულ ფორმას წარმოადგენს.

#### 4.4. სადებეტო ინსტრუმენტები

შედარებით ფართოა სადებეტო ინსტრუმენტის არჩევანი.

ესენია: საბანკო პლასტიკური ბარათები, ჩეკები, საინკასო ღაფალება (განკარგულება), თამასუქები და სხვ. საკრედიტო ინსტრუმენტებისგან განსხვავებით, სადებეტო ინსტრუმენტის გამოყენებისას, გადახდის ინიციატორს წარმოადგენს ფულის მიმღები.


სადებეტო ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია ორი ფორმით:  
 ✓ სახსრების მიმღები ღაფალებას აძლევს თავად გადამხდელს, რომელიც, თავის მხრივ, ამ ღაფალებას გადასცემს მისსავე მომსახურე ბანკს, რის საფუძველზეც გადამხდელის ბანკი ახდენს სახსრების გადარიცხვას მიმღების ბანკში – სახსრების მიმღებისათვის ჩასარიცხავად;

✓ სახსრების მიმღები დავალებას აძლევს გადამხლელის ბანკს, გადამხლელის ანგარიშიდან კუთვნილი სახსრების ჩამოწერის თაობაზე. ამ შემთხვევაში საგადახლო საბუთები და სახსრები საპირისპირო მიმართულებებით მიემართება.

საქართველოს პირობებში საღებგო ინსტრუმენტები, მეორე შემთხვევის მსგავსად, შეზღუდულად გამოიყენება და მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისი უფლებებით აღჭურვილი მხარეებისათვის (საქართველოს ეროვნული ბანკი, სააღმსრულებლო ორგანო, საქართველოს საგადასახლო და საბაჟო სამსახურები) არის განკუთვნილი.

საღებგო გზავნილის განხორციელების სქემა მოცემულია N2 დიაგრამაზე.

დიაგრამა N2



საღებგო ინსტრუმენტების გამოყენება განსაკუთრებით მოხერხებულ ფორმას წარმოადგენს კლიენტის რეგულარული გადახდების წარმოებისას (მაგ., კომუნალური, საღამღვეეო და სხვ.). ამ დროს გადამხლელი უფლებას აძლევს მის მომსახურე ბანკს, ჩამოწეროს თანხები მისი ანგარიშიდან, მის მიერ ბანკისაღმი რეგულარულ გადახდებზე გაცემული დავალების ან მიმღების მიერ მომზადებული საგადახლო საბუთების საფუძველზე.

საღებეო ოპერაციების შესრულების ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს გადახდები საბანკო პლასტიკური ბარათებით.

გადახდების და ფულადი გზავნილის განხორციელებისას საქართველოში გამოყენებული საგადახდო ინსტრუმენტები განსაზღვრულია ქვეყნის კანონმდებლობით და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული დოკუმენტებით.

#### 4.5. პლასტიკური ბარათები

ზოგადად, ბარათები კლასიფიცირებულია მათი ტექნიკური შესაძლებლობის, დანიშნულების, მომსახურების სახის და სხვა პარამეტრების შესაბამისად. ამ კლასიფიკაციის საფუძველია:

ა) მათი დასამზადებელი მასალა (ქაღალდი, მუყაო, პლასტიკა, მეტალი);

ბ) საერთო დანიშნულება (საიდენტიფიკაციო, ინფორმაციული, სარეკლამო, საანგარიშსწორებო).

ასეთ ბარათებს მიეკუთვნება მაგალითად საშეი, სავიზიტო ბარათი, სადამლევეო ბარათი, სამოგალოებრივი გრანსპორტის ბარათი, საწვავ-საპროხის მასალების შესაძენი ბარათი, საფინანსო-საანგარიშსწორებო ოპერაციების საწარმოებელი ბარათი და სხვ.

ბარათები შეიძლება იყოს როგორც მრავალფუნქციური, ისე ვიწრო მიზნობრივი დანიშნულების. კონკრეტული მიზნობრივი სისტემის მოთხოვნების მიხედვით, ერთ ბარათზე შესაძლოა იყოს პერსონიფიცირების და დაცვის რამდენიმე დონე;

გ) ანგარიშსწორების მექანიზმი (ორმხრივი, მრავალმხრივი).

ორმხრივი სისტემა წარმოადგენს ანგარიშსწორების მონაწილე ორ მხარეს შორის შეთანხმებას, რომლის დროსაც ბარათების მფლობელებს საშუალება აქვთ, საქონლის შენაძენები განახორციელონ ამ ბარათების ემიტენტების ჩაკეტილ ქსელებში.

მრავალმხრივი სისტემების შემთხვევაში, ბარათების მფლობელებს საშუალება აქვთ, შენაძენები განახორციელონ სავაჭრო და მომსახურების (სერვისის) სხვადასხვა ორგანიზაციებთან;

დ) ბარათზე ინფორმაციის ჩაწერის მეთოდი (გრაფიკული, ემბოსირებული, შტრიხკოდებით, კოდირება მაგნიტური ზოლით, ჩიპით, ლაზერული ჩანაწერით – ოპტიკური ბარათები).

ბარათზე ინფორმაციის ჩაწერა ხდება სხვადასხვა კლასიკური მეთოდით (თერმული, ლაზერული ან ბეჭდვის სხვა მეთოდებით).

პლასტიკური ბარათი „ჩიპით“, ანუ „სმარტ-ბარათი“, წარმოადგენს ინტელექტუალურ ბარათს, რომელშიც ჩაშენებულია მიკროსქემა – ჩიპი. მიკროსქემას გააჩნია გარკვეული „ლოგიკა“ (მიკროპროცესორი), რომელსაც შეუძლია შეასრულოს ინფორმაციის დამუშავების რთული ოპერაციები;

ე) ანგარიშსწორების სახეები (საკრედიტო, სადებეტო).

საკრედიტო ბარათის მფლობელს საშუალება აქვს, ბანკში გახსნილი საკრედიტო ხაზის ხარჯზე, განახორციელოს საქონლის ან მომსახურების გადახდა, რომელიც აღემატება მის ანგარიშზე არსებულ ნაშთს (ამ უკანასკნელს დაერიცხება საპროცენტო განაკვეთი). საკრედიტო ბარათის მფლობელი ბანკის მიერ გაცემული კრედიტის შემდგომ კომპენსაციას ახდენს საკუთარი დანაზოგებით ან ანგარიშიდან.

სადებეტო ბარათის მფლობელს ნაღდი ფულის მიღება ან შენაძენის ანაზღაურება შეუძლია მხოლოდ მის საბარათო ანგარიშზე არსებული სახსრების ფარგლებში.

როგორც სადებეტო, ასევე საკრედიტო ბარათების სისტემების აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს ავტორიზაციის პროცედურები, რომელთა შესრულებისას (ხშირ შემთხვევაში „ონლაინ“ რეჟიმში მომუშავე ელექტრონული საშუალებებით) გამყიდველი ყიდვა-გაყიდვის პროცესში იღებს ბარათის ემიტენტის დასტურს ოპერაციის განხორციელების თაობაზე;

ვ) მათი გამოყენების ფორმა (ინდივიდუალური, კორპორაციული და სხვ.).

ინდივიდუალური ბარათი გაიცემა ფიზიკურ პირზე.

კორპორაციული საგადახლო ბარათი გაიცემა მხოლოდ ორგანიზაციებისათვის, რომელიც მიზნულია კომპანიის ანგარიშზე და გაფორმებულია ამ ორგანიზაციის მუშაკზე. ასეთი ბარათი ორგანიზაციის

მიერ შეიძლება იყოს ლიმიტირებული, რის გამოც ბარათის მფლობელი შეიძლება ორგანიზაციის ანგარიშიდან ფულადი სახსრების ხარჯვაზე. თუ ლიმიტი დაყენებული არ არის, მაშინ ბარათის მფლობელს უფლება აქვს, ორგანიზაციის ანგარიშიდან განკარგოს ფულადი სახსრები სრული ოდენობით. ორგანიზაცია კორპორაციულ საგადახლო ბარათს გასცემს სპეციალურად შერჩეულ პირებზე (ხელმძღვანელი ან სხვ.);

ბ) ორგანიზაცია-ემიგენტთან მიკუთვნების ფორმა (საბანკო, კომერციული).

საბანკო ბარათების შემთხვევაში ემიგენტები არიან ბანკები.

კომერციული ბარათების ემიგენტებად გვევლინებიან არასაფინანსო ორგანიზაცია-დაწესებულებები;

თ) გერიტორიული გავრცელების არეალი (საერთაშორისო, ეროვნული):

საერთაშორისო – ბარათები, რომლებიც მოქმედებენ მრავალ ქვეყანაში.

ეროვნული – მხოლოდ ქვეყნის შიგნით მოქმედი ბარათები;

ი) სხვა დანიშნულების ბარათები (მაგ., საოჯახო, სტუდენტური, საგრანსპორტო, გურიზმის, გართობის, წინასწარ გადახდილი ბარათი და ა. შ).

საქართველოში პლასტიკური ბარათების განვითარება წარმოადგენს ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას.

ბარათების ჩამოთვლილი ნაირსახეობებიდან საქართველოში ფართოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს საბანკო პლასტიკური ბარათი (საკრედიტო, საღებეგო, კორპორაციული და სხვ.), რომელთა ემიგენტები, ძირითადად, კომერციული ბანკები არიან.

თანამედროვე საბანკო პლასტიკური ბარათები – ეს არის არა მხოლოდ საბანკო სერვისის სახე, არამედ საგადახლო ინსტრუმენტი, რომელიც წარმოადგენს საანგარიშსწორებო საშუალებას საქონელზე ან მიღებულ მომსახურებაზე გადახდის განსახორციელებლად, ნაღდი ფულის მისაღებად, ვალუტის გასაცვლელად და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ოპერაციების საწარმოებლად.

#### 4.6. ჩეკი

ჩეკი წარმოადგენს დადგენილი ფორმის ფასიან ქაღალდს, რომელიც შეიცავს ჩეკის გამცემის წერილობით ღვალებას საბანკო დაწესებულებებისადმი, ჩეკში მითითებული თანხის განაღდების თაობაზე.

ჩეკის პოპულარობა ნაწილობრივ ასახავს მის ადაპტირებას კონკრეტულ ქვეყანაში. მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა შემთხვევაში – დაწყებული „ყიდვა-გაყიდვის“ ოპერაციებიდან, დამთავრებული „დისტანციაზე“ ოპერაციების შესრულებით.

ეს ინსტრუმენტი ფართოდ არის გავრცელებული კანადაში, საფრანგეთში, გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და ძალზე პოპულარულია გადამხდელთა შორის. საქართველოში ჩეკებით ოპერაციების განხორციელება ამ ეტაპზე ნაკლებად წარმოებს.

#### 4.7. ინკასო

ინკასო წარმოადგენს ისეთ სადებეგო ოპერაციას, რომლის დროსაც ხდება გადამხდელის ანგარიშიდან, მისი თანხმობის გარეშე, გარკვეული ფულადი სახსრების უპირობო ჩამოწერა. საქართველოში უდავო წესით თანხების ჩამოწერას ახდენენ ქვეყნის ის სამსახურები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გააჩნიათ პირებისათვის გადასახდელთა დაკისრების უფლებამოსილება.

საინკასო ოპერაციების საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ ფორმას წარმოადგენს დოკუმენტური ინკასო. ეს უკანასკნელი, დოკუმენტურ აკრედიტივთან ერთად, გაერთიანებულია დოკუმენტური ოპერაციების ჯგუფში.

დოკუმენტური ოპერაციები უზრუნველყოფენ ანგარიშსწორებას ვაჭრობაში, იცავენ ექსპორტიორ/იმპორტიორებს როგორც საქონლის არმიწოდების ან არგადახდების, ისე სავალუტო, პოლიტიკური და სხვა სამეწარმეო რისკებისაგან.



#### 4.8. ლოკუმენტური ოპერაციები

გერმინი „ლოკუმენტური ოპერაციები“ მომდინარეობს მხარეთა შორის საანგარიშსწორებო ურთიერთობის შინაარსიდან – ლოკუმენტური ოპერაციებით ანგარიშსწორების წარმოებისას ყველა დაინტერესებულ მხარეს საქმე აქვს მხოლოდ ლოკუმენტებთან (მაგ., სხვადასხვა ხარჯების ლოკუმენტები, ჩეკები, კომერციული ანგარიშ-ფაქტურები, საგრანსპორტო და საღაბმღვევო ლოკუმენტები, ხარისხის, ანალიზისა თუ სხვა წარმომავლობის სერტიფიკატები, შეფუთვის ფურცელი და ა. შ.) და არა უშუალოდ საქონელთან, მომსახურებასა ან სხვა ვალდებულებებთან, რომელთაც ეს ლოკუმენტები ეხება.

ლოკუმენტური ოპერაციების მარეგულირებელ სამართლებრივ ბაზად მიიჩნევა შვეიცარიის ფედერალური სასამართლოს მიერ ჯერ კიდევ 1952 წელს მიღებული საერთაშორისო მნიშვნელობის ნორმატიული აქტი – „ლოკუმენტური ოპერაციების წარმოების უნიფიცირებული წესები და პრაქტიკული ჩვევები“ (UCP – Uniform Customs and Practice for Documentary Credits), რომელიც შემდგომ წლებში ახალი რედაქციებით გამოიცა და სხვადასხვა პუბლიკაციების სახით დამტკიცდა პარიზის საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ. დღეისათვის ძალაშია 1993 წლის პუბლიკაციები, სადაც თავმოყრილია საერთაშორისო სამართლებრივი ძალის მქონე ერთიან ნორმებად მიღებული ყველა წესი და დებულება.

ლოკუმენტური ოპერაციების გზით ანგარიშსწორების ფორმის შერჩევა, ბანკების ჩარევის გარეშე, იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის შეთანხმების საფუძველზე ხდება და განისაზღვრება ხელშეკრულებით (კონტრაქტით).

ლოკუმენტური ოპერაციების ძირითადი სახეებია ლოკუმენტური აკრედიტი და ლოკუმენტური ინკასო. მათ შორის ანგარიშსწორების ყველაზე მოხერხებულ და გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ლოკუმენტური აკრედიტი. ამ ინსტრუმენტის გამოყენების შემთხვევაში მაქსიმალურად არის დაცული მხარეთა ინტერესები. აკრედიტით ანგარიშსწორებისას შესაძლებელია ისეთი დეტალების აღწერა, როგორებიც არის, მაგალითად, საქონლის ხარისხი, როდის, რა ვადებში და გრანსპორტის რომელი სახეობით უნდა მოხდეს მიწოდება; საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთჯერადად თუ პარტიებად; რომელი ბანკი (ექსპორტიორის თუ იმპორტიორის მხარის) მოახდენს ლოკუმენტების შემოწმებას, ვინ აანაზღაურებს ბანკის საკომისიო გადასახდელებს და სხვ.


ლოკუმენტური ინკასო – საბანკო ოპერაცია, რომლის მეშვეობითაც ბანკი თავისი კლიენტის (ექსპორტიორის) მინდობილობის საფუძველზე ახდენს ამ კლიენტის კუთვნილი სახსრების მიღებას გადამხდელისაგან (იმპორტიორისაგან) საანგარიშსწორებო საბუთების საფუძველზე, ანუ ბანკი იღებს ვალდებულებას – ინკასოზე გადაგზავნოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტები გადამხდელის ბანკში, რომელიც ამ დოკუმენტებს, თავის მხრივ, გადასცემს გადამხდელს (აქცეპტზე ან გადახდაზე).

აღნიშნული სახის ოპერაციები რეგულირდება ინკასოს წარმოების უნიფიცირებული წესების შესაბამისად (Uniform Rules for Collections»), URC N522 პუბლიკაციით.

ლოკუმენტური ინკასოს ოპერაციების განსახორციელებლად ბანკს უნდა წარედგინოს:

- საინკასო მინდობილობა;
- საინკასო მინდობილობის პირობების შესაბამისი დოკუმენტები.

**ანგარიშსწორების სქემა დოკუმენტური ინკასოს გამოყენებით**



ლოკუმენტური ინკასოს გამოყენებით ანგარიშსწორების სქემაში გათვალისწინებულია:

1. კომერციული ხელშეკრულება (კონტრაქტი) – იმპორტიორსა (მყიდველი) და ექსპორტიორს (გამყიდველი) შორის ფორმდება კომერციული ხელშეკრულება (კონტრაქტი).
2. საქონლის მიწოდება – ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უშუალოდ შესრულება (საქონლის, მომსახურების მიწოდება ან სხვა ვალდებულებების შესრულება).
3. საბუთები – ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტები ექსპორტიორის მიერ წარედგინება მის მომსახურე ბანკს.
4. საბუთები – წარდგენილი დოკუმენტები გადაეცემა იმპორტიორის (გადამხდელის) მომსახურე ბანკს.
5. საბუთების წარდგენა – იმპორტიორის მომსახურე ბანკი დოკუმენტებს გასანაღლებლად (ან აქცეპტზე) წარუდგენს იმპორტიორს.
6. გადახდა საბუთების მიღების შემდეგ – წარდგენილი დოკუმენტების საფუძველზე იმპორტიორი ახდენს გადახდას ან მის მომსახურე ბანკს ნებას რთავს სახსრების გალარიცხვაზე (აქცეპტის შემთხვევაში).
7. საბუთების გაცემა – გადახდის (აქცეპტის) სანაცვლოდ საბუთების გაცემა.
8. გადახდა საბუთების შესაბამისად – იმპორტიორის მიერ გადახდილი სახსრები გალარიცხება ექსპორტიორის ბანკში, რომელიც, თავის მხრივ, სახსრებს ჩაურიცხავს ექსპორტიორს (სახსრების მიღებს).


ლოკუმენტური აკრედიტივი – ბანკის წერილობითი ვალდებულება, რომელიც გაცემა მისი კლიენტის (მყიდველის) სახელით გამყიდველის სასარგებლოდ მასზე, რომ დანახარჯის ანაზღაურება განხორციელდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე. აკრედიტივის გამხსნელი ბანკი უფლებამოსილია, თავად განახორციელოს გადახდა ან ეს უფლებები გადასცეს სხვა ბანკს (კორესპონდენტ ბანკს) იმ პირობით, თუ გამყიდველის მიერ წარდგენილი იქნება აკრედიტივით გათვალისწინებული დოკუმენტები.

ლოკუმენტური აკრედიტივის ოპერაციები რეგულირდება დოკუმენტური აკრედიტივის უნიფიცირებული წესებისა და ჩვევების (UCP N500) პუბლიკაციით.

ლოკუმენტური აკრედიტივის გასახსნელად ბანკს უნდა წარედგინოს:

- განცხადება აკრედიტივის გახსნის შესახებ;
- ხელშეკრულება (კონტრაქტი) საერთაშორისო სავაჭრო გარიგების თაობაზე;
- აკრედიტივის პირობების შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი.

**ანგარიშსწორების სქემა ლოკუმენტური აკრედიტივის გამოყენებით**



ლოკუმენტური აკრედიტივის გამოყენებით ანგარიშსწორების სქემაში შედის შემდეგი ეტაპები:

1. კომერციული ხელშეკრულება (კონტრაქტი) – სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებით იმპორტიორსა (მყიდველსა) და ექსპორტიორს (გამყიდველს) შორის ფორმდება კომერციული ხელშეკრულება (კონტრაქტი), სადაც სხვა პირობებთან ერთად ასახულია იმპორტიორისა და ექსპორტიორის ბანკების დასახელებები, აკრედიტივის თანხა, აკრედიტივის სახე, სახსრების მიმღების ინფორმირების მეთოდი აკრედიტივის გახსნის თაობაზე, ხელშეკრულების პირობებით მოთხოვნილი ლოკუმენტების ჩამონათვალი, გადახდის პირობები, პასუხისმგებლობა ვალდებულებების შეუსრულებლობაზე (არასათანადოდ შესრულებაზე), აკრედიტივის საბანკო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების საკითხი, გრანს-
- პორტირების სახე, რომელიმე ლოკუმენტის კონკრეტული გამომწერის დასახელება და სხვ.
2. განაცხადი აკრედიტივის გახსნაზე – აკრედიტივის გახსნისთვის კლიენტმა ბანკს უნდა წარუდგინოს შესაბამისი განცხადება. ბანკი აკრედიტივის გახსნისას აკრედიტივის თანხით (მის უზრუნველსაყოფად) აღებუტებს კლიენტის ანგარიშს.
3. აკრედიტივი – იმპორტიორის ბანკი ატყობინებს (საგელექსო შეტყობინება) ექსპორტიორის ბანკს აკრედიტივის გახსნის თაობაზე.
4. შეტყობინება აკრედიტივის გახსნის თაობაზე – ექსპორტიორის ბანკი, თავის მხრივ, ატყობინებს ექსპორტიორს (სახსრების მიმღებს).

5. საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა – ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების უშუალო შესრულება (საქონლის, მომსახურების მიწოდება ან აკრედიტივის პირობებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება).

6. გადაზიდვის ლოკუმენტები – ექსპორტიორი, აკრედიტივის ხელ-

შეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებში წარადგენს ბანკში აკრედიტივის პირობებით გათვალისწინებულ და სათანადოდ გაფორმებულ ლოკუმენტებს.

7-8. გადახდა აკრედიტივით – აკრედიტივით გადახდა ხდება აკრედიტივის გამხსნელი ბანკის ვალდებულებების შესაბამისად.

#### 4.9. ელექტრონული ფული

ელექტრონული ფული არის ნაღდი ფულის (ბანკნოტები და მონეტები) ანალოგი. ელექტრონული ფულის შეტანა ხდება მიკროპროცესორული ბარათის (ელექტრონული საფულე) მეხსიერებაში. იგი იქ ინახება ისე, როგორც ბანკნოტები და მონეტები საფულეში. ამასთან, ელექტრონული „საფულის“ მფლობელის საბანკო ანგარიში ან დაღებულება ელექტრონული ფულის ოდენობით, რომელიც ჩარიცხულია ბარათზე ან შეიტანება კლიენტის მიერ ნაღდი ფულის სახით ბანკში.

ელექტრონული ფულის გამოყენებით გადახდების განხორციელება ხდება უშუალოდ გადახდის განხორციელების მომენტში (როგორც ნაღდი ფულის გამოყენების დროს). გადახდელის ელექტრონული საბუთიდან ელექტრონული ფულის ჩამოწერის და მიმღების (გამყიდველის) ელექტრონულ „საფულეში“ ჩარიცხვის გზით. შედარებისათვის: საღებეგო ბარათის გამოყენებისას ანგარიშსწორება წარმოებს არა მალაზიაში, საქონლის შეძენის დროს, არამედ მხოლოდ მფლობელის საბარათე ანგარიშიდან ფულის ჩამოწერის და მისი მიმღების ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ.

ელექტრონული „საფულის“ უარყოფით მხარეს წარმოადგენს ის, რომ მისი დაკარგვის შემთხვევაში მფლობელი კარგავს მთელ ფულს, რომელიც შეტანილია ბარათის მეხსიერებაში, ისევე, როგორც ნაღდი ფულის დაკარგვისას. საღებეგო ბარათის დაკარგვისას კი მისი მფლობელის ფული რჩება ბანკში მის საბარათე ანგარიშზე.

საქართველოში გადახდის ამ ინსტრუმენტის (ელექტრონული „საფულე“) გამოყენების პრაქტიკა ღამეობრივების სტადიაშია.

- საგადამხდელო ინსტრუმენტების ჩამონათვალი და რომელიმე მათგანის პოპულარობა განსაზღვრულ ქვეყანაში სხვადასხვაგვარია და დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის ისტორიულ ტრადიციებსა და სოციალურ მდგომარეობაზე. მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩეკები, მიუხედავად იმისა, რომ ამ ინსტრუმენტის სიძვირის გამო, ზოგიერთი ქვეყანა ცდილობს შეამციროს მათი მიმოქცევა და შეცვალოს იგი უფრო იაფი ინსტრუმენტით, როგორცაა საბანკო პლასტიკური ბარათები.

საგადამხდელო ინსტრუმენტების გამოყენების წესები ღვინდება ქვეყნის კანონმდებლობით და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული დოკუმენტებით.

## 5. საგადამხდელო სისტემები

### 5.1. საგადამხდელო სისტემების ინფრასტრუქტურა და გექნოლოგია

საგადამხდელო სისტემის ინფრასტრუქტურა და გექნოლოგია ის კომპონენტებია, რომლებზედაც უშუალოდ არის დამოკიდებული გადახდების შესრულება, საიმედოობა და ანგარიშსწორების სისტემის უსაფრთხოება. ამასთან, საგადამხდელო სისტემაში გამოყენებული პროგრამულ-გექნიკური საშუალებები უნდა უზრუნველყოფდეს სისტემის შეუფერხებელ მუშაობას.

საგადამხდელო სისტემების ინფრასტრუქტურა და გექნოლოგია გათვლილი უნდა იყოს არა მხოლოდ გადახდების მიმდინარე მოცულობის დამუშავებაზე. მათ უნდა გააჩნდეთ დამუშავებისათვის სარეზერვო სიმძლავრეები სისტემების მაქსიმალური დაგვირგთვისა და მომავალში გადახდების მოცულობის მოსალოდნელი გაზრდის შემთხვევებისათვის.

საქართველოს საბანკო სფეროს საგადამხდელო სისტემების ინფრასტრუქტურა მოიცავს ორ დამოუკიდებელ სეგმენტს:


ა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ორგანიზებულ სისტემებს მიეკუთვნება ის სისტემები, რომელთა საშუალებითაც ხდება კომერციულ ბანკებსა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის ანგარიშსწორების ორგანიზება (მაგ., რეალური ღროის რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS), „ნეტ“-ანგარიშსწორების კლირინგის სისტემა, ფასიანი ქაღალდებით ანგარიშსწორებისა და სხვა სისტემები);

ბ) კერძო საგადამხდელო სისტემები, რომელთაც მიეკუთვნება კერძო (კომერციული) საგადამხდელო სისტემები. ესენია, კომერციული ბანკების შიდასაბანკო საგადამხდელო სისტემები, საანგარიშსწორებო-საკლირინგო საქმიანობაზე სპეციალიზებული საბანკო და არასაბანკო საკრედიტო დაწესებულებების, ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის, ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზრის, პლასტიკური ბარათებით საცალო გადახდებისა და სხვა კომპანიების საგადამხდელო სისტემები.

## 5.2. რეალური დროის რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS)

რეალური დროის რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემაში თითოეული საგადასხდლო საბუთი მუშაობს ინდივიდუალურად და სახსრების გადაგზავნა თითოეული საგადასხდლო საბუთის საფუძველზე ხორციელდება რეალურ დროში (იხ. ანგარიშსწორების მაგალითი 4 ბანკს შორის (დიაგრამა N3)).

დიაგრამა N3



წარმოდგენილ მაგალითში ფულის გადაგზავნა ხორციელდება ცალკეული საგადასხდლო საბუთის საფუძველზე; დაღებულდება გადამხდელის ბანკის ანგარიში და დაკრედიტდება მიმღების ბანკის ანგარიში. სულ მოცემულ შემთხვევაში ფულის გადაგზავნა ხორციელდება 9-ჯერ, საერთო თანხით 450 ერთეული. ამასთან, ფულის გადაგზავნა წარმოებს საკორესპონდენტო ანგარიშებით, რომლებიც გახსნილია ანგარიშსწორების ბანკში.



### 5.3. „ნეგ“-ანგარიშსწორების სისტემა (კლირინგი)

საგადამხდლო სისტემაში საცალო გადახდების ბაზრის განვითარებისა და ამ სფეროში მომსახურების ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით, ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს საკლირინგო ოპერაციების წარმოება.

საკლირინგო ოპერაციებს გააჩნიათ ისეთი ეკონომიკური მხარეები, როგორცაა სამეურნეო საქმიანობაში მოღვაწე ბანკებისა და ორგანიზაციების საბრუნავი სახსრების შემცირება და ფულადი მასის მიმოქცევის დაჩქარება, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ეკონომიკის განვითარების არაინფლაციურ წყაროს.


საკლირინგო ოპერაციების მიზანს ასევე წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ ბანკთან ბანკების მუშაობის ოპტიმიზება, მონაწილეთა გადახდების მსვლელობის დროის შემცირება, თანამედროვე ინფორმაციული საბანკო სტრუქტურის შექმნა, სისტემის მონაწილეთა მხრიდან გადახდების წარმოების ხარჯების მინიმიზება (ერთეული გადახდის წარმოებისა და მომსახურების ხარჯების შემცირება) და სხვ.

კლირინგის განხორციელების დროს ხდება კლირინგის მონაწილე ბანკების ვალდებულებათა ურთიერთჩათვლა. ამასთან, თითოეული მონაწილისათვის განისაზღვრება წმინდა პოზიცია (სხვაობა ყველა შემავალ და გამოძავალ გადახდებს შორის), რის შესაბამისადაც ხორციელდება ფულის გადაგზავნა.

კლირინგი შეიძლება განხორციელდეს ორმხრივ და მრავალმხრივ საფუძველზე. ორმხრივი კლირინგის დროს ურთიერთჩათვლა ორ ბანკს შორის ხორციელდება. ასეთი კლირინგის შედეგად ერთ-ერთი მონაწილე ფულს გადააგზავნის მეორის სასარგებლოდ, მისი საღებეგო წმინდა პოზიციის შესაბამისად. ორმხრივი კლირინგის შედეგი (საფუძველად ავიღოთ იგივე მაგალითი, დიაგრამა N3) ილუსტრირებულია N4 დიაგრამაზე. ამ შემთხვევაში თითოეულ ბანკს აქვს სამი ცალკეული ორმხრივი წმინდა პოზიცია.

A ბანკსა და C ბანკს შორის ორმხრივი კლირინგის განხორციელების შემდეგ A ბანკი ვალდებულია C ბანკს გადაუხადოს მხოლოდ 20 ერთეული, ნაცვლად ერთმანეთის მიმართ განსახორციელებელი 70 და 90 ერთეულის გადახდებისა. შესაბამისად, ასე მოხდებოდა ანგარიშსწორების „გროს“-სისტემაში. ანალოგიურად, N5 დიაგრამაზე ნაჩვენებია ორმხრივი კლირინგი B ბანკსა და C ბანკს შორის, აგრეთვე C ბანკსა და D ბანკს შორის.

ლიაგრამა N4




მრავალმხრივი კლირინგის განხორციელების დროს ხდება ვალდებულებების ჩარიცხვა კლირინგის თითოეული მონაწილის მიერ სხვა დანარჩენი მონაწილეების მიმართ. ამრიგად, კლირინგის თითოეული მონაწილისათვის არსებობს ერთი „წმინდა პოზიცია“.

განვიხილოთ მრავალმხრივი კლირინგის განხორციელების პროცესი იმავე მაგალითზე (N3 ლიაგრამა). თითოეული ბანკის წმინდა პოზიცია გამოითვლება, როგორც სხვაობა მოცემული ბანკის ყველა შემავალ (მიღებული) და ყველა გამომავალ (გაგზავნილი) გადახდის თანხებს შორის (N5 ლიაგრამა).

ფულის გადაგზავნა მრავალმხრივი კლირინგის შედეგების მიხედვით ხორციელდება საკლირინგო ორგანიზაციის ანგარიშის მეშვეობით, რომელიც გახსნილია საანგარიშსწორებო დაწესებულებაში (საქართველოს ეროვნული ბანკი, საანგარიშსწორებო-საკლირინგო ცენტრი, პალატა და სხვ.), ბანკის ანგარიშებიდან, რომელსაც კლირინგის შედეგად გააჩნია „წმინდა საღებულო პოზიცია“, ფულადი სახსრები გადაირიცხება საკლირინგო ორგანიზაციის ანგარიშზე. ამის შემდეგ საკლირინგო ორგანიზაციის ანგარიშიდან თანხები გადაირიცხება იმ ბანკების სასარგებლოდ, რომელთაც კლირინგის შედეგად გააჩნიათ „წმინდა საკრედიტო პოზიცია“.

მრავალმხრივი კლირინგის განხორციელების განხილული მაგალითი შეიძლება წარმოვადგინოთ ცხრილის სახით (N2 ცხრილი), რომელშიც მითითებულია ბანკების მიერ განხორციელებული გადახდები და თითოეული ბანკის საბოლოო წმინდა პოზიცია.



ცხრილი N2

გალაშლელი ბანკები	მიმღები ბანკები			
	A	B	C	D
A	-	10	90	0
B	0	-	80	60
C	70	30	-	0
D	50	40	20	-
საწყისი გადახდების თანხა (ვალდებულებები)	100	140	100	110
შემოსული გადახდების თანხა (მოთხოვნები)	120	80	190	60
ბანკის წმინდა პოზიცია	20	-60	90	-50

წარმოდგენილი მაგალითიდან ჩანს, რომ რეალური დროის რეჟიმში ანგარიშსწორების სისგემისგან განსხვავებით, ფულადი სახსრების გადაგზავნა კლირინგის შედეგად ხორციელდება მხოლოდ 4-ჯერ, საერთო რაოდენობით 220 ერთეული. ამასთან, კლირინგის სისგემის მონაწილე ბანკებისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენს, გადახდების საწარმოებლად თავიანთ ანგარიშებზე ჰქონდეთ თანხა. თუმცა, ასეთ სისგემაში, რეალური დროის რეჟიმში ანგარიშსწორების სისგემასთან შედარებით, რისკი მნიშვნელოვნად დიდია. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ოპერაციული ღირებულებების ბოლოს, სამუდგომ ანგარიშსწორების საწარ-

მოებლად, კლირინგის მონაწილეებს RTGS-ის სისგემაში (საკორეს-პონდნგო ანგარიშზე) უნდა გააჩნდეთ წმინდა პოზიციების შესაბამისი ფულადი სახსრების საკმარისი რაოდენობა.

#### 5.4. „კლიენტი-ბანკის“ სისგემა

„კლიენტი-ბანკის“ სისგემის ორგანიზაციური და მფლობელია ბანკი, რომელიც უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას და უფლება აქვს, კლიენტთან შეთანხმებით მოახდინოს სისგემის შეცვლა ან განახლება.

„კლიენტი-ბანკის“ სისგემა ბანკისა და კლიენტის მიერ გამოიყენება საანგარიშსწორებო ოპერაციების საწარმოებლად და კლიენტის მიერ უშუალოდ მისი ორგანიზაციიდან ან ნებისმიერი სხვა ადგილიდან ბანკში არსებული მისი ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მისაღებად.

საქართველოში ბანკსა და კლიენტს შორის ელექტრონული ანგარიშსწორება რეგულირდება დებულებით „საქართველოს საბანკო სისგემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ“, დებულებით „დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების შესახებ“, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით.

სისგემით ოპერაციების წარმოება დასაშვებია დროის რეალურ, პაკეტურ ან ისეთ რეჟიმში, რომელიც მისაღებია ორივე მხარისათვის.

#### 5.5. SWIFT-ის სისგემა

მსოფლიო საფინანსო ბანკთაშორისი გელეკომუნიკაციის საზოგადოების SWIFT-ის სისგემაში საქართველოს კომერციული ბანკების ჩართვა ჯერ კიდევ 1995 წლიდან დაიწყო. 1997 წელს საერთაშორისო ორგანიზაციების გეგნიკური დახმარებებით შესაძლებელი გახდა საქართველოს ეროვნული ბანკისა და 16 კომერციული ბანკის ჩართვა SWIFT-ში ცენტრალიზებული სისგემით, რომელიც შემდგომ წლებში შეიცვალა დეცენტრალიზებული სისგემით და ყველა კომერციული ბანკი გახდა SWIFT-ის დამოუკიდებელი წევრი.

ამ სისგემის შემდგომი პერიოდების განვითარების სტრატეგია მიმდინარეობდა ბელგიის მიერ საქართველოსათვის შეთავაზებული პროექტებით (SWIFTNet-ზე გადასვლა და სხვ.).

## 6. რისკები საგადასახდლო სისტემაში

### 6.1. რისკების კლასიფიკაცია

ანგარიშსწორების განხორციელების პროცესი ყოველთვის უკავშირდება გარკვეულ რისკებს, რომლებმაც შეიძლება შეაფერხონ გადახდის წარმატებით დასრულება.

ყველა რისკი, რომელიც წარმოიშობა საგადასახდლო სისტემაში. პირობითად შეიძლება დაიყოს საკრედიტო, ლიკვიდურობის, სისტემურ, საოპერაციო, თაღლითობის, ტექნიკურ და იურიდიულ რისკებად. ისინი დამოკიდებულია საგადასახდლო სისტემის მონაწილეთა ურთიერთ-ვალდებულებებზე გადახდებისა და ფულის გადაგზავნის განხორციელების დროს.

- საკრედიტო რისკი – მიმღების რისკი, რომელიც დაკავშირებულია გადასახდელთან, როდესაც შეუძლებელია მისი ვალდებულებების სრული მოცულობით და დადგენილ ვალებში შესრულება. საკრედიტო რისკი წარმოიშობა ნაწილობრივ იმ შემთხვევაშიც, როცა საგადასახდლო სისტემის მონაწილეს ეძლევა „ოვერდრაფტი“ (დღიური სესხი) ან „ოვერნაითი“ (ღამის სესხი). საკრედიტო რისკი ასევე შესაძლოა წარმოიშვას მაშინ, როცა მიიღებს რა საგადახდლო დავალებას მიმღები ბანკი, თავისი კლიენტის ანგარიშზე ჩარიცხავს მითითებული ოდენობის თანხას გადასახდელის ბანკიდან შემოსვლამდე, იმ ვარაუდით, რომ გადასახდელის ბანკს შეუძლია გადახდამდე თავისი ვალდებულების შესრულება. ამგვარი სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას საკლირინგო სისტემაში, როცა საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელებამდე, კლირინგის შედეგებით ბანკი იღებს დავალებას თავის სასარგებლოდ და ამ დავალების საფუძველზე ჩარიცხავს ფულს მიმღების ანგარიშზე;


- ლიკვიდურობის რისკი – გადასახდელის რისკი, რომელიც დაკავშირებულია ფულის გადაგზავნის ვალდებულებების შესრულებლობასთან. რისკის ეს სახე წარმოიშობა იმ შემთხვევაში, როცა გადახდის ვადის დადგომისას გადასახდელს არა აქვს გადახდის განსახორციელებლად საკმარისი რაოდენობის თანხა. ლიკვიდურობის რისკი არსებობს „გროს“ საგადასახდლო სისტემაში, რადგან თითოეული ვალდებულების

შესასრულებლად ბანკს უნდა ჰქონდეს ფულის საკმარისი რაოდენობა ან „ელოლებოლეს“ შემოსულ (შემხედრ) გადახდებს. „გროს“-ანგარიშსწორების სისტემისგან განსხვავებით „ნეტ“-ანგარიშსწორების სისტემაში ბანკის მოთხოვნილება ფულზე წარმოიშევა კლირინგის შედეგად ფულის გადაგზავნის განხორციელებისას. იმის გამო, რომ ბანკს შეიძლება არ ეყოს თანხა გადაგზავნის განსახორციელებლად მისი „წმინდა სადებეტო პოზიციის“ შესაბამისად, „ნეტ“-ანგარიშსწორების სისტემაში ლიკვიდურობის რისკი იძენს უდიდეს მნიშვნელობას. ლიკვიდურობის რისკის შესამცირებლად ასეთ სისტემებში გამოიყენება რისკების მართვის მეთოდები;

- სისტემური რისკი – რისკი იმისა, რომ საგადამხდელო სისტემის ერთი მონაწილის მიერ ფულის გადაგზავნის ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს სხვა მონაწილეების (ერთი ან რამდენიმე) ვალდებულებათა შეუსრულებლობას (ე. წ. „დომინოს პრინციპი“).

განვიხილოთ საერთო ანგარიშსწორების სისტემაში სისტემური რისკის წარმოშობის მაგალითი (N6 დიაგრამა). დავუშვათ, რომ სისტემის რომელიმე ბანკ-მონაწილეს თავისი ვალდებულებების განსახორციელებლად არასაკმარისი თანხა აქვს. ამასთან, სხვა ბანკები ელიან ამ ბანკიდან ფულის შემოსვლას, ანუ, თავის მხრივ, ისინი ლიკვიდურობის არასაკმარისობას განიცდიან. ამ შემთხვევაში წარმოიშევა სიტუაცია, როცა ყველა ბანკის გადახდები ღვას რიგში და, ანგარიშზე თანხის უკმარისობის ან არქონის გამო, არც ერთი დავალება არ სრულდება. წარმოიშევა გადახდების „საცობი“, რადგან გადახდის განხორციელება სისტემის არც ერთ მონაწილეს არ შეუძლია. ამასთან, თუ ნებისმიერი ამ ბანკთაგანი განახორციელებდა გადახდას, ის სხვა მონაწილეებს თავიანთი გადახდების შესრულების საშუალებას მისცემდა.

„ნეტ“-ანგარიშსწორების სისტემაში სისტემური რისკი წარმოიშევა კლირინგის შედეგად ფულის გადაგზავნის განხორციელების შემდეგ, როდესაც კლირინგის ერთ ან რამდენიმე მონაწილეს თავისი წმინდა სადებეტო პოზიციის დასაფარავად არა აქვს ფულის საკმარისი რაოდენობა. ამ დროს კლირინგის სხვა მონაწილეებს კლირინგის შედეგების მიხედვით არ შეუძლიათ ფულის გადაგზავნის დამთავრება. თუ ასეთ სიტუაციებში არ მოქმედებს რისკის მართვის სხვა მეთოდები, როგორც წესი, ხდება კლირინგის მონაწილეთა წმინდა პოზიციის გადაანგარიშება – ე. წ. გადახდების „დარღვევა“;



- საოპერაციო რისკი – რისკი, რომელიც დაკავშირებულია საგადაზღვეო სისტემის მონაწილის მხრიდან მისი მოვალეობის შესრულების დროს პერსონალის მიერ დაშვებულ შეცდომასთან. ხშირ შემთხვევაში საოპერაციო შეფერხებები ხდება პერსონალის მიერ დაშვებული მარტივი შეცდომების, მაგალითად, კომპიუტერში საგადასახალო საბუთის არასწორი რეკვიზიტების შეტანის გამო. ამგვარი შეცდომების ხშირად გამეორებისას კლიენტებმა შეიძლება დაკარგონ ნდობა იმ ბანკისადმი, რომელიც არასწორად ამუშავებს საგადასახალო დავალებებს. ამ რისკის მინიმიზაცია შესაძლებელია ელექტრონულ სისტემაში ინფორმაციის შეტანისას ორმაგი კონტროლის პროცედურის დაწესების გზით (საგადახლო საბუთი, საგადაზღვეო სისტემაში მოხვედრამდე, იკრიფება და მოწმდება ორჯერ);
- თაღლითობის რისკი – რისკი, რომელიც უკავშირდება საგადაზღვეო სისტემაში არასანქცირებულ შეღწევას, პერსონალის მიერ თავიანთი მოვალეობის შესრულების ბოროტად გამოყენებას, საგადახლო საბუთების გაყალბებას.

საგადასხვლო სისტემაში თაღლითობის რისკი, ძირითადად, უკავშირდება ცრუ შეგყობინებების სისტემაში გაგზავნას ან გაგზავნილ შეგყობინებაში ცვლილებას. თაღლითობის ასეთი სახეების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები ეფუძნება კრიპტოგრაფიული დაცვის საშუალებათა გამოყენებას და ელექტრონულ-ციფრულ ხელმოწერას, რომელიც უზრუნველყოფს შეგყობინების გაყალბებისაგან დაცვას და გამგზავნი პიროვნების დადგენას. თაღლითობის მცდელობა ასევე შეიძლება მოხდეს საგადასხვლო სისტემის შიგნით. ამის თავიდან ასაცილებლად დგინდება შეზღუდული წვდომა იმ საშუალებებთან, რომლებიც უზრუნველყოფს საგადასხვლო სისტემაში შეღწევას. აქ იგულისხმება, როგორც პროგრამულ-ტექნიკური (პაროლების, კოდების დაცვება და სხვ.), ასევე დაცვის ორგანიზაციული მეთოდები (იმ უფლებამოსილ პირთა სიის განსაზღვრა, რომელთათვისაც დასაშვებია შენობაში შესვლა და ა. შ.).

თაღლითობა შეიძლება უკავშირდებოდეს ასევე საგადასხვლო საბუთების გაყალბებას. ელექტრონული საბუთების დაცვის ხერხების შესახებ ზემოთ უკვე აღინიშნა. რაც შეეხება ქაღალდის საბუთის გაყალბებისაგან დაცვის გრადიციულ მეთოდს, ამ უკანასკნელს განეკუთვნება ხელმოწერა.

გარდა ამისა, ქაღალდის საბუთის შესადგენად (მაგ., ჩეკები, თამბაქუქები) გამოიყენება სპეციალური დამცავი ნიშნებით აღჭურვილი ქაღალდი, რომელსაც აქვს წყლის ნიშნები, ჰოლოგრაფული ნიშნები და დაცვის სხვა საშუალებები;

- ტექნიკური რისკი – რისკი, რომელიც დაკავშირებულია პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების და გლეკომუნიკაციების გაუმართაობასა და შეფერხებებთან, იმაში მდგომარეობს, რომ ტექნიკური შეფერხებების ან პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების (რომლებიც უზრუნველყოფს სისტემის ფუნქციონირებას) გაუმართაობის გამო შესაძლოა მთლიანად გაჩერდეს საგადასხვლო სისტემა ან სისტემის ერთმა (ან რამდენიმე) მონაწილემ ვერ შეძლოს შეგყობინებების მიღება და გაგზავნა. ამასთან, სისტემაში შეიძლება იყოს ტექნიკური შეფერხებების გამოწვევი მრავალი მიზეზი, მაგალითად, კომპიუტერის დაზიანება, სტიქიური უბედურება, ხანძარი, ელექტროენერჯის გათიშვა და ა. შ.

ასეთი შედეგების შეზღუდვის მომები სხვადასხვაგვარია, მათ შორის, კომპიუტერის უზრუნველყოფა უწყვეტი კვების ბლოკით, კომპიუტერების განთავსება საიმედო შენობაში, რომელიც დაცული იქნება სტიქიური უბედურებისგან (მიწისძვრა და ა. შ.). სისტემის უწყვეტად მუშაობისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სარეზერვო პროგრამულ-ტექნიკური



საშუალებები, რომლებიც სისგემის მუშაობას უზრუნველყოფს ძირითადი პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში.

სისგემის შეუფერხებელი და საიმედო მუშაობისათვის გაწეული ზომები უნდა მიესადაგებოდეს სისგემის დანიშნულებას. ეს იმას ნიშნავს, რომ უსაფრთხოების ამა თუ იმ ზომის შემოღება მიზანშეწონილი უნდა იყოს მისი გამოყენების კომერციულობის თვალსაზრისით, ვინაიდან ნებისმიერი ღამაგებითი უსაფრთხოების ზომა მოითხოვს ღამაგებით ფულად დანახარჯებს, რაც ზრდის გაწეული მომსახურების ღირებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ღამაგებით საოპერაციო ხარჯს ბანკი კისრულობს.

ამრიგად, საჭიროა გარკვეული ბალანსის დაცვა საგადამხდელო სისგემის უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ასეთი ზომების მიღების კომერციულ მიზანშეწონილობას შორის;

- იურიდიული რისკი – რისკი იმისა, რომ საგადამხდელო სისგემის ფუნქციონირების წესები და პროცედურები, აგრეთვე სისგემის მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები მკაფიოდ არ არის განსაზღვრული. ეს რისკი დაკავშირებულია სისგემის მონაწილეების მიერ გადახდებისა და ფულის გაგზავნის განხორციელების დროს მათი უფლებებისა და მოვალეობების გაუცნობიერებლობასთან, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საგადამხდელო სისგემის ფუნქციონირების წესების დარღვევა.


აღნიშნული რისკის მინიმიზება შესაძლებელია წესებისა და ინსტრუქციების შემუშავების მეშვეობით, რომლებიც გარკვევით ასახავს სისგემის მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს. გარდა ამისა, სისგემის მონაწილეთა შორის დადებულ ხელშეკრულებებში უნდა განისაზღვროს თითოეული მხარის პასუხისმგებლობა ვალდებულებათა დარღვევების შემთხვევაში.

7. ლიკვიდურობის მოთხოვნები „გროს“ და „ნეტ“ საფუძველებზე ანგარიშსწორების განსახორციელებლად

კომერციული ბანკებისათვის წმინდა („ნეტ“) საფუძველზე ანგარიშსწორების უპირატესობას, „გროს“ პრინციპზე ანგარიშსწორებასთან შედარებით, წარმოადგენს საანგარიშსწორებო ანგარიშებზე შედარებით მცირე ნაშთის არსებობა, რომელიც საჭიროა წმინდა („ნეტ“) ანგარიშსწორების პროცესში საგადახლო დავალებების წარმატებით დასამუშავებლად. აღნიშნულის ილუსტრაცია მოცემულია N7 დიაგრამაზე და N3 ცხრილში.

დიაგრამა N7

„საცობების ილუსტრაცია“



თუ გემოთ მოყვანილ მაგალითში, რომელიც მოიცავს სამ ბანკს და სამ საბუთს, ანგარიშსწორება ხდება ერთიან („გროს“) საფუძველზე, მაშინ არც ერთ მათგანს არ გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა გადახდის

შესასრულებლად და ანგარიშსწორების აგენტი უარს იცყვის გადახდის განხორციელებაზე. ამიგომ სისტემა ღვება „საცობის“ წარმოშობის პრობლემის წინაშე, რადგან ნებისმიერ ცალკე აღებულ ბანკს არ შეუძლია განახორციელოს საწყისი გადახდა, ვინაიდან შემომავალი გადახდები შეჩერებულია. თუმცა, თუ ეს სამი ბანკი, რომლებმაც აუცილებლად უნდა განახორციელონ ასეთივე გადახდები და გააჩნიათ ლიკვიდობის/ნაშთების მარაგი საანგარიშსწორებო ანგარიშებზე, მონაწილეობენ წმინდა („ნეტ“) პოზიციაზე დამყარებული მრავალმხრივი ანგარიშსწორების სისტემაში, მათინ პრობლემა დაძლეულია. თუ ამ სიტუაციას განვიხილავთ საანგარიშსწორებო მაგრიცის ფარგლებში, მივიღებთ შემდეგს:

ცხრილი N3

„საცობების“ აცილება წმინდა პოზიციებზე ანგარიშსწორების გამოყენებით

ბანკი-გადახდელი	ბანკი-მიმღები			ვალდებულებათა ჯამი
	A	B	C	
A	-	0	25	25
B	20	-	0	20
C	0	15	-	15
სულ მოთხოვნები	20	15	25	60
მრავალმხრივი წმინდა პოზიცია	-5	-5	10	0
ნაშთი	10	10	5	25

ამგვარად, ორივე – A და B ბანკს გააჩნია საკმარისი ლიკვიდურობა თავიანთი წმინდა საგადახდელ ვალდებულების შესასრულებლად, მაგრამ, იმავე დროს, C ბანკი, ნებისმიერ შემთხვევაში, „წმინდა მიმღების“ მდგომარეობაში იმყოფება. ცხადია, რომ კომერციული ბანკებისათვის მიმზიდველია საანგარიშსწორებო ანგარიშზე არსებულ ნაშთებზე ეკონომიის შესაძლებლობა, რადგან ამ ნაშთზე რიცხულ სახრებს, როგორც წესი, პროცენტები არ ერიცხება.

ისგორიულად, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის წმინდა („ნეტ“) საფუძველზე აგებული საგადახდელ სისტემები, ჩვეულებრივ, ნორმას წარმოადგენს.

## 8. საგადამხდელო სისტემების საკანონმდებლო ბაზა

ნებისმიერი საგადამხდელო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ნათლად უნდა განსაზღვრავდეს საგადამხდელო სისტემებში მონაწილე ყველა მხარის უფლებებს, ვალდებულებებს, ანგარიშსწორების წესებსა და პროცედურებს. საგადამხდელო სისტემების თითოეული კომპონენტის აგება უნდა ხდებოდეს მხოლოდ კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედი წესებისა და სტანდარტების დაცვით, ხოლო მის განვითარებას აუცილებლად უნდა სდევდეს საკანონმდებლო ბაზის მუდმივი სრულყოფა და განახლება, რაც ახალი საგადახლო ინსტრუმენტების ან ბანკთაშორისი ანგარიშსწორების განსხვავებული სქემების რეალიზაციის წინაპირობას წარმოადგენს.

იურიდიული ბაზის სრულყოფის საბოლოო მიზანია საგადამხდელო სისტემებისათვის ისეთი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რომელიც გამორიცხავს ან მინიმუმამდე დაიყვანს იურიდიულ შეუსაბამობას, რასაც შეუძლია სერიოზული საფრთხე შეუქმნას საგადამხდელო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, განსაკუთრებით არასტანდარტულ, კრიზისულ შემთხვევებში.

ამდენად, საქართველოს ეროვნული ბანკი, საბანკო სფეროსთან ერთობლივად, მუშაობას გააგრძელებს საგადამხდელო სისტემების მარეგულირებელ, ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის უნიფიცირების კუთხით, საერთაშორისო წესებისა და ლოკუმენტური ოპერაციების დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად.

გამოსაცემად მომზადდა საქართველოს ეროვნული ბანკის  
საგადაზღველო სისტემებისა და  
საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტების მიერ.

საქართველოს ეროვნული ბანკი


საქართველო, 0105, თბილისი, ლეონიძის ქ. N3/5

ტელეფონი: 996 505; ფაქსი: 999 346

ტელექსი: 212 952 LEGAL.GI

ელფოსტა: [info@nbg.gov.ge](mailto:info@nbg.gov.ge)

# საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმი



მუშაობს ყოველდღე (10.00 - 16.00) შაბათ-კვირის გარდა  
(შესვენება 13.00 - 14.00).

მისამართი: საქართველო, თბილისი 0105, გ. ლეონიძის ქ. N3/5